ოქმი:**ო03.37221641**
თარიღი:**13/06/2022**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: რ. დუმბაძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, ლ. ბიგვავა, გ. შარაშენიძე, ბ. მელუა, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის გეგმის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელსაც მოჰყვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა 57.47 მილიონ ლარამდე, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის უპრეცენდენტოა, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, რომლებშიც შევიდა ცვლილებები და დამატებები, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის აპრილის თვის გეგმა შესრულებულია ძირითადი პარამეტრების მიხედვით, მცირედი ჩამორჩენაა ქონების გადასახადის შემოსავლების კუთხით, რომელიც გამოსწორდება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ანგარიში მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის გეგმის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი